განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

13/02/2024

MES 7 24 0000149093

ბრძანება

თბილისი

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით, 2024 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის N524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნოდარ პაპუკაშვილისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 თებერვლის N143592 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის N28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის 2024 წლის 06 თებერვლის N122261 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით, განისაზღვროს 2024 წლის პრიორიტეტები:
ა) განათლება (011);
ბ) ხელოვნება (021);
გ) მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413):
გ.ა) ლოგისტიკა (0413.3.2),
გ.ბ) ტვირთების ექსპედირება (0413.3.3);
დ) მარკეტინგი და რეკლამა (0414);
ე) საბითუმო და საცალო გაყიდვები (0416);
ვ) ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები (051);
ზ) გარემო (052);
თ) ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (061);
ი) ინტერდისციპლინური (068);
კ) ინჟინერია და საინჟინრო საქმე (071);
ლ) წარმოება და გადამუშავება (072);
მ) არქიტექტურა და მშენებლობა (073);
ნ) ინტერდისციპლინური (078);
ო) სოფლის მეურნეობა (081);
პ) მეტყევეობა (082);
ჟ) მეთევზეობა (083);
რ) ვეტერინარია (084);
ს) ინტერდისციპლინური (088);
ტ) ჯანდაცვა (091);
უ) სოციალური კეთილდღეობა (092);
ფ) ინტერდისციპლინური (098);
ქ) პერსონალური მომსახურებები (101);
ღ) ტრანსპორტის მომსახურებები (104);
ყ) ინტერდისციპლინური (108).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
პაპუკაშვილი ნოდარ